საქართველოს მთავრობის

განკარგულება №533

2017 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიეცეს თანხმობა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 მარტის №ი-164 ბრძანებით განსაზღვრულ ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიის 5759 კვ. მ ფართობზე სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის მინიჭებული სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების ვადის 2018 წლის 29 მარტამდე გაგრძელების თაობაზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**